ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 311

« 15 » აგვისტო 2017 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №35-41-ის მიმდებარედ არსებული 1278 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.018.024) 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ნატალისთვის" (ს/კ 205125407) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, `ქ.თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №35-41-ის მიმდებარედ არსებული 1278 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.018.024) 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ნატალისთვის" (ს/კ 205125407) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 26 ივლისის №27.17.552 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №35-41-ის მიმდებარედ არსებული 1278 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.018.024) 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ნატალისთვის" (ს/კ: 205125407) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 900 (ცხრაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი